სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

03832695971921

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210177392

რეგისტრაციის თარიღი

02.03.2021 წ

ნოტარიუსი: თამარ გეფერიძე
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას N76
ტელეფონი: 0322331867

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის ორ მარტს მე, **ნანა ბაკურაძეს, ნოტარიუს თამარ გეფერიძის შემცვლელ პირს,** სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართა **შპს « სანი »-ს (ს/კ 406033983) დირექტორმა ივანე ბარბაქაძემ.** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ივანე ბარბაქაძემ** (დაბ. 31.12.1983წ. გარდაბანში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ელადიმერ გაბაშვილის ქ. №5, ბინა 16, ბარათის №13IK24762, პირადი: 01017021602, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.05.2015წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი **ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება** და ვადასტურებ, რომ მის **ქმედუნარიანობაში, უფლებამოსილებაში** ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს « სანი »-ს (ს/კ 406033983) დირექტორი ივანე ბარბაქაძე** (დაბ. 31.12.1983წ. გარდაბანში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ელადიმერ გაბაშვილის ქ. №5, ბინა 16, ბარათის №13IK24762, პირადი: 01017021602, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.05.2015წ.) ვენდობი **შპს „ლენდ მარკ პროჯექტს" (ს/კ 405221843)** იყოს შპს „სანის" **(ს/კ 406033983)** დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, , ქ.თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურში, აწარმოოს მათთან ურთიერთობები იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რაც გამაჩნია მე, როგორც საზოგადოების დირექტორს. აწარმოოს საპროექტო სამუშაოები, ატვირთოს საპროექტო დოკუმენტაცია, განახორციელოს პროექტის კორექტირება, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, გაგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა , მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, გამოითხოვოს ინფორმაცია, მიიღოს და წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, გადაიხადოს საჭირო გადასახდელები და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოხსენებული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით და ძალშია 2023 წლის 02 მარტის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დღგ 1 ლარი და 80 თეთრი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს « სანი »-ს (ს/კ 406033983) დირექტორი

ივანე ბარბაქაძე _____

ნოტარიუს თამარ გეფერიძის შემცვლელი პირი

_____ ნანა ბაკურაძე

საქართველო GEORGIA NOTARY ТАМАР ГЕПЕРИДЗЕ 01024032150